

ჭირს თავი როდის დაუშვლია?

პენსიას სორსსა, მერვე სულსა

დღეს ძნელი წარმოიდგინო სპორტსმენი, მწვრთნელი თუ სპორტში მომუშავე ექიმი, რომელსაც არ სძინებდა დობინგზე და დობინგ-კონტროლზე. საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში, სპორტული მედიცინის საგანში, 2 საათი აქვს დათმობილი დობინგს, დობინგ-კონტროლსა და ე. წ. სექს-კონტროლს, ანუ სპორტსმენის სექსის დადგენას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველივე ამასვე ლაპარაკია და წერას სულ რამდენიმე წლის წინათ ტაბუ ჰქონდა დადებული და, ამდენად, ფართო საზოგადოებას (თუ არ ჩავთვით ერთ-ერთ წერილს „ლელოში“ და „სოვეტსკი სპორტში“), დობინგსა და დობინგ-კონტროლს შესახებ სრულფასოვანი ინფორმაცია არ გააჩნდა.

ვინაიდან ბოლო წლებში გაზიარდა სპორტსმენების მიერ დობინგის მიღების შემთხვევები, რაც საშიშროებას უქმნის სპორტსმენის ჯანმრთელობას, ვფიქრობ, უფრო მეტი ძალისხმევა სჭირდება მთელი ჩვევის დროულად და სრულად აღმოსაფხვრელად.

დღეს, როდესაც სრულიად საქართველო დააღდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზას, ყოველი ახალგაზრდა ქართველი ჯანმრთელობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს. თუ ზნა ავიმდლებთ ჩვენს რესპუბლიკაში ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის, პრობლემები უკვე ციფრებისა და ნიტრატების მოსპობაზე, ვებრძობთ ნარკომანიას და ტოქსიკომანიას, ესანხეთ შიღის-საწინააღმდეგო ღონისძიებებს, უნდა ვფიქრობთ იმაზეც, რომ არასაკლებ საშიშროებას გვიქადის დობინგის გავრცელება ჩვენს სპორტულ სამყაროში, რამეთუ დობინგის ისეთი სიცოცხლო ბოროტებაა, რომლის აღსაყვითად დროულად უნდა დავიარაღოთ.

სიტყვა „დობინგ“ ინგლისური წარმოშობისაა. ეს არის ზნა, რომელსაც მრავალი მნიშვნელობა აქვს: ნარკოტიკების მიღება, შერევა, გაზარება, ფაქტობრივად, განზავება. ამასთანავე, ტერმინი ტერმინოლოგიაში სიტყვა „დობ“ ნიშნავს სათბობის ჩასხმას, ქსოვილის გაყვინებას და ა. შ.

დობინგ — ეს არის სტიმულატორი — ფარმაკოლოგიური ან სხვა საშუალება, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმის ფიზიკური და ფსიქიკური მოქმედების დროებით გაძლიერებას. სტიმულატორებს კი უწოდებენ იმ ნივთიერებებს, რომლებიც აძლიერებენ ორგანიზმისა და სისტემების სხვადასხვა ფუნქციებს. თვით სტიმულაციის იდეაში არაფერია დასაძრავი ან უჩვეულო — ცნობილია, რომ კლინიკურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სახის სტიმულატორები. ალბათ, არ გადავებრბებთ, თუ ვიტყვით, რომ მათ გარეშე წარმოუდგენელია კლინიკური მედიცინა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ გულის ზოგიერთი დავადების დროს გამოიყენება მისი მოქმედების მსტიმულატორული საშუალებები, ანემიების დროს — საჭირო სისხლძა-

ლი სტიმულატორები, ყაბზობისას — პერისტალტიკის გამაძლიერებელი და ა. შ. ამ შემთხვევაშიც, სტიმულატორების გამოყენება, პირველ რიგში, ემსახურება კონკრეტულ მიზანს, რომლის მიღწევის შემდეგ საჭიროა შეწყვედოს მისი მიღება, ავადმყოფის მკურნალობის პერიოდში კი სტიმულატორების მიღების წესს, ზუსტ დოზირებას და ხანგრძლივობას მკურნალი ექიმი სისტემატურად უნდა აკონტროლებდეს. მაგრამ ეს საშუალებები კლინიკურ მედიცინაში ცნობილია როგორც სტიმულატორები, და არა როგორც დობინგები.

„დობ“ უწოდებენ, აგრეთვე, სითხეს, რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნების ღვთისმოსაინი ღმერთებმა ზანგრძლივი და მომქანცველი რელიგიური რიტუალების პერიოდში ადგზნების მიზნით. სამხრეთ ამერიკის ხალხები გამძლეობისა და შრომისუნარიანობის ასამაღლებლად, შიმშილის გრძობის დასაბრუნებლად იყენებენ სხვადასხვა ადგზნებ საშუალებათა ნარევის. ამავე სახელწოდებით, ჭკვი კიდევ ძველ რომში ხმარობდნენ სტიმულატორებს საეტლე რბოლებში (ხეცებისათვის). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მრბოლი, რომელსაც ამხელდნენ ხეცებისათვის სტიმულატორის — დობის მიღებაში, ისევე ღობდა ჭკვირში. შორს წავიყვანს ყველა იმ დროს, ქვეყნის თუ ხალხის ჩამოღობა, სტიმულატორებს რომ იყენებდნენ.

პირველი მინიშნება სპორტში დობინგის გამოყენებაზე განეკუთვნება 1865 წელს (ამსტერდამში ჩატარებულ მოცურავეთა შეჯიბრებას). თუმცა დობინგის გამოყენების დასაწყისად თანამედროვე სპორტში, რატომღაც, მიიჩნევენ ინგლისელი ექიმის ლენარდ ერსკინის მიერ 1909 წელს ენგბადის მიწოდებას (შესუნთქვა) სპორტსმენებისათვის შეჯიბრების თუ ვარჯიშის შემდეგ დაღლილობის მოსახსნელად. „რატომღაც“ იმიტომ, რომ ღღეს-ღღობით ენგბადი დობინგად არ ითვლება. ადენად, ზუსტი განსაზღვრა, სად და როდის დაიწყეს სპორტში დობინგის გამოყენება, ერთობ ძნელია.

ახლა, მთელ მსოფლიოში საკმაოდ სწრაფად იზრდება მიღწევები სპორტის თითქმის ყველა საგნობაში, რიგ სახეობებში კი შედეგებმა ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარსაც მიადგია. ეს განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებს თანამედროვე სპორტში დობინგის გამოყენების პრობლემას.

ცხადია, სპორტული შედეგის ზრდა საჭირო და მისასაღმებელია, მაგრამ იგი სპორტსმენებმა და მწვრთნელმა თვითმზნად არ უნდა გაიზარდონ — ეს უნდა ხდებოდეს ჯანმრთელობის, ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესების პარალელურად. ამისათვის კი აუცილებელი პირობაა: სპორტსმენის ნიჭი, დიდი შრომისუნარიანობა; ასევე, მეცნიერმუშაკთა, მწვრთნელთა, ექიმთა, ფიზიოლოგთა ერთობლივი ვარჯა. აი, ის საფუძველი, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს მაღალი შედეგების მიღწევა თანამედროვე სპორტში.

აღსანიშნავია, რომ სამოყვარულო სპორტი ძალზე მოუახლოვდა პროფესიულს, პროფესიონალებს კი, მოგვსენებათ, კარგად უხდინან. ამიტომაც, რომ ზოგიერთი სპორტსმეის მისწრაფების მიღწევის მაღალ შედეგს, რაღაც უნდა დაუჭდეს ეს, საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზეც კი. ყოველივე ამან ვანაპირობა თანამედროვე სპორტში ხელოვნური სტიმულატორების გამოყენება. ერთი სიტყვით, სპორტსმენი მატერიალურ კეთილდღობას ანაცვალებს საკუთარ ჯანმრთელობას, რომელსაც ფასი არა აქვს და, დაკარგვის შემთხვევაში, არაფერს ძალუძს მისი აღდგენა.

ჩვენში დობინგი შემოვიდა უცხოეთიდან. მას ხშირად იყენებდნენ ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის პროფესიონალი ველოსიპედისტები. 1955 წელს, როდესაც ჭკვი კიდევ სუსტი იყო დობინგ-კონტროლი, პროფესიონალ ველოსიპედისტი 20 პროცენტს შარდში აღმოაჩნდა დობინგი. მაღალი სპორტული შედეგის მიღწევის სწრაფება განაპირობა დობინგის შეღწევა სამოყვარულო სპორტშიც.

რით არის უმთავრესად საშიში დობინგი? რატომ არის აუცილებელი მისი ამოძიკვა სპორტში? — ამ კითხვებს რომ პასუხი გავცეთ, დობინგის პრობლემა უნდა განვიხილოთ სხვადასხვა ასპექტით.

1. სპორტულ-ტექნიკური. სპორტსმენმა ყველაფერს, რისც გამოვლენა შეუძლია, უნდა შეაღწიოს სისტემატური წვრთნის შედეგად, რასაც მისი ორგანიზმი მიჰყავს ფუნქციური შესაძლებლობებისა და უნარის ზრდისკენ. აქედან გამომდინარე, ყოველგვარი ნივთიერების მიღება, რომელიც ხელს შეუწყობს, ხელოვნური, არაბუნებრივი გზით სპორტული შედეგების ზრდას, დაუშვებელია.

2. მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით, დობინგის მიღება შეუთავსებელია სპორტის არსთან. დობინგი აუკუღმართებს სპორტის მორალურ ფასეულობათა მნიშვნელობას იმდენად, რამდენადაც ქმნის შეჯიბრების არათანაბარ პირობებს; ანუ პირობას, როცა ნაკლებად მოზადებულ სპორტსმენს დობინგის საშუალებით ამარცხებს მასზე უფრო ნიჭიერსა და უკეთ მოზადებულ სპორტსმენს. ვებტერის ინგლისურ ლექსიკონში სიტყვა „სპორტსმენი“ ასეა განმარტებული: „ადამიანი, რომელიც იბრძვის პატიოსნად, უკეთილშობილურად და დაუშვებელი მეთოდების გამოყენებლად“. სწორედ ამასვე ლაპარაკი ოლიმპიურ ფიციში, რომელსაც დებს ყოველი ოლიმპიელი.

3. არასაკლებ საშიშია დობინგის მიღება სიცოცხლო ასპექტის გათვალისწინებით. ეჩვევა რა დობინგის რომელიმე ნაირსახეობის მიღებას, სპორტსმენს შემდგომი ფუნქციის მისაღწევად სჭირდება ამ ნივთიერების სულ უფრო მზარდი დოზა, რაც მას, ფაქტიურად, ნარკომანად აქცევს. ამ ასპექტის მი-

შენვლობაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ, როცა 1962 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური კომისია იხილავდა ნარკოტიკების საკითხს, ამ პრობლემის სპეციალურ, დობა სამეცნიერო შესწავლას დიდი ყურადღება დაეთმო.

4. მედიკო-ბიოლოგიური ასპექტში დობინგის მიღების უარყოფითი გავლენა ვლინდება 2 მიმართულებით:

ა. იქნება ყალბი შეგრძნება გზარდილი შესაძლებლობებისა. სპორტსმენი გადაჭარბებით აფასებს საკუთარ უნარს, ეს კი მას მაღლებინებს არასწორ გადაწყვეტილებას, რაც ხშირად ტრავმატის მიზნზე ხდება.

ბ. დობინგის მიღების შემდეგ სპორტსმენი კარგავს დაღლის შეგრძნებას. ცნობილია, რომ დაღლილობა არის ფიზიოლოგიური პროცესი, რომელიც ვლინდება გარკვეული რეაქციის სახით. იგი აფრთხილებს ადამიანს, რომ მან მიაღწია თავის შესაძლებლობათა ზღვარს. თუ ადამიანი დაღლილობის შეგრძნებისას არ შეწყვეტს მუშაობას, მაშინ იგი გადადის გადაღლაში, რაც უკვე არის პრეპათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც მივყავართ ცალკეული ორგანოებისა და სისტემების გადაძაბვამდე, ე. ი. პათოლოგიურ მდგომარეობამდე. ეს კი საშიშია სიცოცხლისათვის და შეიძლება სპორტსმენის სიკვდილითაც დამთავრდეს.

მთკლე საგანზეთო წერილში ძნელია ჩამოთვლოთ დობინგის მიღებით გამოწვეული ორგანიზმისათვის საშიში ყველა შედეგი.

უნდა აღინიშნოს ის დიდი ნერვული დაძაბულობაც, რომლის ფონზე მოქმედებს დობინგი.

მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული და კლინიკური დავიკირებები ცალყოფენ, რომ დობინგის მოქმედება დამოკიდებულია იმ ფარმაკოლოგიურ ჯგუფზე, რომელსაც იგი განეკუთვნება. პირველ რიგში, დობინგი მოქმედებს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციაზე. ამიტომაც, დობინგის ხანგრძლივად მიღებისას გამოვლინდება დეგრადაციის ყველა კლინიკური ნიშანი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დობინგი სხვადასხვა ძალით უარყოფითად მოქმედებს თითქმის ყველა ორგანოზე. მისი ზეგავლენის შედეგად, თავდაპირველად, თავს იჩენს ფუნქციური ხსისათის მოშლილობანი, შემდგომში კი — ორგანოები.

ენდოკრინული სისტემის დაზიანება სპორტსმენებში იწვევს ნაადრევ სიბერეს, ადრეულ კლიმაქსს, სრულ იმპოტენციას, ქალებს უჩნდებათ მასკულოზაციის ნიშნები, ე. ი. მამაკაცისათვის დამახასიათებელი ნიშნები, მენსტრუალური ციკლის შეწყვეტა და ა. შ.

მართალია, დობინგის ზოგიერთი ნაირსახეობა მიღებისთანავე ავლენს ორგანიზმზე უარყოფით გავლენას, მაგრამ, არცთუ იშვიათად, მათი ზეგავლენა შეიძლება გამოვლინდეს თანდათან, გარკვეული დროის შემდეგ. ეს უქანსტელი განსაკუთრე-

ბითა მხედველობაში მისილება. რამეთუ რიგ შემთხვევაში სპორტსმენები დობინგის მიღების შემდეგ ვერ გრძობენ რა უმაღლეს უარყოფით გავლენას ორგანიზმზე, თამამდებიან და აგრძელებენ დობინგის მიღებას. სწორედ ასეთი დობინგებია განსაკუთრებით საშიში, რადგანაც მათი ხანგრძლივად მიღების შედეგად ჩამოყალიბებული პათოლოგიისაგან განკუთრება ძნელია, ხოლო ზოგჯერ — შეუძლებელიც.

5. ეს ვახლავთ დობინგის მიღების სამართლებრივი ასპექტი. მისი გადაწყვეტა ხელის ერთი დაკვირვებული შედეგებია. საჭიროა ჯერ ამ ასპექტის დეტალური შესწავლა-დამუშავება. ამასთანავე, ცხადია, რომ დობინგის წინააღმდეგ ბრძოლისათვის აუცილებელი პირობაა ისეთი დობინგ-კონტროლი, რომელიც უნაყოლო იქნება, როგორც მეცნიერული, ასევე სამართლებრივი პოზიციებიდან. მთელი ცივილიზებული საზოგადოებრიობა ჯანმრთელობის წესით ებრძვის ნარკომანიას, ხოლო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანალოგია დობინგისა ნარკოტიკებთან თვალსაჩინოა.

დობინგის მიღების აქ მოყვანილი პრობლემის ყოველი ასპექტი, ვფიქრობ, ნათლად წარმოაჩენს მსოფლიოს სპორტულ სამყაროში დღეს მიმდინარე დობინგისაგანამდებო ბრძოლის მნიშვნელობას. დადგადრო, როცა საქართველოშიც უნდა ვიზრუნოთ მეცნიერულად დასაბუთებული, უკვე აბრბობებული, იურიდიულად უნაკლო დობინგ-კონტროლის დასაწერად. ამ საქმეში ჩახედულათვის ცნობილია, რა სიძნელეებთან და ხარჯებთან იქნება ეს დაკავშირებული, მაგრამ ასევე ყველასათვის გასაგებია უნდა იყოს ის ქუშმარტება, რომ ერთის ჯანმრთელობა ყველაფერზე ძვირფასია.

ცხადია, აქ მხოლოდ საქართველოს სპორტსაკომისისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შესაძლებლობები საკმარისი არ იქნება. ერის კეთილდღობისათვის საყოველთაო ძალისხმევა სჭირბო.

შემდეგ საუბარში შევეცდებით გავაცნოთ დობინგ-კონტროლის ისტორია და მისი ჩატარების წესები. მოვეწოდებ საქართველოში მომუშავე სპორტული მედიცინის თვალსაჩინო სპეციალისტებს, სპორტის მოყვან მოღვაწეებს, თვით სპორტსმენებს, ხშირად მიაწოდონ ჩვენს საზოგადოებას დობინგის დამღუბველი მოქმედების წარმომჩენი მასალები, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებებიც საქართველოში დობინგ-კონტროლის სამსახურის შემოღება-დაწყების შესახებ.

თბილისი ვიზუალური, საექიმო ფიზკულტურის №1 დისპანხერის მთავარი ექიმი, დოცენტი (წერილის მომზადებისას ძირითადად ვხელმძღვანელობდა პროფესორ ა. გ. დემოზს ლექციების ციკლით).

გთხოვთ, მონორარი გადაიცხობთ აქარაში ხტივით დაზარალებულთა დახმარების ფონდში. ხოლო თუ შექმნება ასეთივე ფონდი დობინგ-კონტროლის ჩამოსაყალიბებლად ჩვენს რესპუბლიკაში, შეხატან თანხას პირველი გაიღებს თბილისის საექიმო ფიზკულტურის №1 დისპანხერის კოლექტივი.

ბოზ შმიდტი და მისი ბავშვები

— ბრ წახვიდე საქართველოში, — მითხრეს მოსკოვში, — ძალიან საშიშია. მე კიდევ ვუბნებ: უკვე მეთექვსმეტედ ვარ კავშირში, თბილისაძლე კ ვერა და ვერ ჩავალწიემეთქი.


— ვის ეუბნებთ? — ვახუსტებ მე.

— რა ჰქვია თქვენთან — „კომპეტენტური ორგანოები“? აი, სწორედ მათ ვუბნებთ. უცხოელებს ხომ თქვენს ქვეყანაში თაქსტულად გადაადგენება არ შეუძლიათ. ისინი კიდევ მუბუნებიან, დაცვას მოგცემთ, კარტისტს, პისტოლტით, თორემ შეიძლება — უსიამოვნება შეგზავლეთო. საჭირო არ არის-მეთქი, იქნებ თვი-

თონვე შეგძლო თავის დაცვა. პატარა კაცი კი ვარ, მაგრამ...

ბოზ შმიდტი, ორმეტრიანი ლამაზი მამაკაცი — მგონი, კონოშიც კი არ მინახავს უფრო ლამაზი მამაკაცი — ხელზე ხელს მიტყაპუნებს და ჩვენ ერთად ვიცინით. დიან, ბოზ შმიდტი, 33 სატლევიზიო არხის მფლობელი, რამდენიმე კომპანიის პრეზიდენტი, საქართველოში პირადი დაცვის გარეშე ჩამოვიდა (არ შეეშინდა), თანაც თხუთმეტი ბავშვი ჩამოიყვანა, მათ შორის ორი საკუთარი, ორი... ათიდარი.

— იხუთი ვაყრწვილი და ხუთი ქალიშვილი მყავს. — ბოზს სახე ერთბაშად დაეძაბა. ეტყობა, უცდის, რომ მისთვის უსიამოვნო შეკითხვას



მივცემ. მაგრამ მე უკვე ვიცი, რომ შმიდტის ათი შვილიდან სამი აყვანილია, მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ მამა ბავშვებს არ ანსხვავებს და ამიტომ ეს შეკითხვა არ სიამოვნებს. და ამიტომ ვღუმვარ. ბოზი თვითონვე მიყვება:

— ჩვენს მოპირდაპირე სახლში ცხოვრობდა ოჯახი, სადაც ორი ბიჭი ჰყავდათ. ჭკვი ღელა მოუკვდათ, კიბოთი, ერთი წლის მერე კი — მამა, გულის შეტევით. ბავშვებს მართლედ გადაჰყავდათ, მაგრამ მან არ მოინდომა ობლების თავისთან წყავანა. ბიჭები თავშესაფარში უნდა წყავანათ. მე ვთქვი, არა, მე მათ ჩემთან წამოვიყვან-მეთქი. მაშინ ბიჭები ათისა და თერთმეტი წლისანი იყვნენ. ისინი ჩემ საკუთარ შვილებზე უფროსები არიან. ახლა ერთი ოცდაშვიდისაა, მეორე — ოცდაექვსისა.

არ ვიცი, რატომ მიყვება ამას ბოზ შმიდტი, ან მე რატომ ვამბობთ ამას თქვენ, თითქმის იმაზე უნდა მომეყოლა, რომ თავიდან ბოზ შმიდტიც მოაწყობა ქართველ ბავშვთა საცეკვაო ანსამბლის მოგზაურობა ამერიკაში, ახლა კი კეტბურთის გუნდი ჩამოიყვანა ჩვენთან — 10-დან 17 წლამდე ასაკის გოგო-ბიჭები. ჩვენში ჭკვირბობით არ თამაშობენ კეტბურთის ნაირსახეობას — სოფტბოლს, მაგრამ ბოზ შმიდტს იმედი აქვს, რომ ითამაშებენ, და მას უნდა, რომ თვითონაც მიიღოს ამაში მონაწილეობა. სოფტბოლის თამაში ბავშვებსაც შეუძლიათ, ქალებსაც და ზანდაზუნლებსაც.

— ბევრი საქმე დამიგროვდა. ორი დღის წინ ვფიქრობდი — ღმერთო ჩემო, ნეტავ სად მივდივარ, ჩემ ბიზნესს წყალი წაიღებს-მეთქი, უნდა აებრჩია — ბიზნესი ან ბავშვები. ჯარასავით ვტრიალებდი, მერე ვფიქრი, ბავშვებს ხელი დავტაცე და აქ ჩამოვედი.

ბოზ შმიდტი არის მენეჯერი გუნდისა „გველა ნორჩი ვარსკვლავი“ — ასე წერია სარეკლამო ფურცელში „ტურნე საქვითა კავშირში“. ეს ბიზნესი ბოზ შმიდტმა თავის საქმეთან ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნია.

— რა, თქვენს გუნდში მართლა „ვარსკვლავები“ არიან? — გულუბრყვილოდ ვეკითხები ბოზს.

— არა, — იცინის იგი — რა თქმა უნდა, არა. გუნდში ვაშინგტონელი ბავშვები არიან. ჩვენ ისინი ასეთი პრინციპით შევარჩიეთ — კეტბურთის თამაშის ცოდნა, სპორტის მეშვეობით თანატოლებთან კონტაქტების დამყარების სურვილი; ბავშვის პირადი თვისებები, მისი ხასიათი. ადვილად შეთვისების უნარი.



იყო თქვენები, დარჩა რამ

გაუნოს-აირანი. დამთავრდა კალთბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის ჭკუფური ტურნირები. გათავაზობთ მესამე კალენდარული დღის შედეგებს:

პირველი ჯგუფი (ქალაქი სანტა-ფე): ვენესუელა — ანგოლა 83:77, პურტორიკო — იუგოსლავია 82:75.
პურტორიკო თ. 8. წ. ქ. 3 3 0 6
იუგოსლავია 3 2 1 5
ვენესუელა 3 1 2 4
ანგოლა 3 0 3 3

მეორე ჯგუფი (როსარიო). იტალია — ჩინეთი 115:76, ავსტრალია — ბრაზილია 69:68.

ბრაზილია 3 2 1 5
ავსტრალია 3 2 1 5
იტალია 3 2 1 5
ჩინეთი 3 0 3 3

მეთხედვინალოში ამ ჭკუფიდან გავიდნენ ბრაზილია და ავსტრალია, რომლებმაც იტალიას ბურთების უკეთესი სხვაობით გაუსწრეს.

მესამე ჯგუფი (ბუენოს-აირესი). საბერძნეთი — სამხრეთ კორეა 119:76, აშშ — ესპანეთი 95:85.

აშშ 3 3 0 6
საბერძნეთი 3 2 1 5
ესპანეთი 3 1 2 4
სამხრეთ კორეა 3 0 3 3

მეოთხე ჯგუფი. (კორდოვა). სსრ კავშირი — კანადა 90:81, არგენტინა — ეგვიპტე 82:65.

სსრ კავშირი 3 3 0 6
არგენტინა 3 2 1 5
კანადა 3 1 2 4
ეგვიპტე 3 0 3 3

გამოვლინდა მეთხედვინალისტთა ორი კვარტეტი. **პირველი ჯგუფი:** პურტორიკო, აშშ, ავსტრალია, არგენტინა. **მეორე ჯგუფი:** სსრ კავშირი, იუგოსლავია, ბრაზილია და საბერძნეთი.

გოგ შვიდტი და მისი გავრცელება

(დასასრული)
— კი, მაგრამ, როგორ განსაზღვრეთ, ვინ იყო მისაღები და ვინ არა? რა, ყველა მსურველს გაესაუბრეთ?
— ყველას, თუმცა მსურველი ძალიან ბევრი იყო. ჩემი თანამშრომლები ყველა ბავშვს ართმევდნენ ინტერვიუს, როგორც ახლა შენ შევიცი, რომ ჩინებული გუნდი ჩამოვიყვანე. ის საყვებელი იმსახურებს იმას, რომ „ყველა ვარსკვლავი“ ერქვას.
ბობ შვიდტი ჩემს გვერდით ზის, ფეხს ფეხზე აქვს გადადებული და ღინჯად, თითქოს დრო წუთობით არ ჰქონდეს განაწილებული, მიყვება

ყველაფერზე. მისი სიტყვები აწონილ-დაწონილია, შეგიძლია გჯეროდეს მათი, ეს პროფესიონალის სიტყვებია. ზომ არ ცდება თავისი ამჟამინდელი გუნდის შეფასებაში? არა მგონია — იგი რომ ყოველწლიურად აწუხებს შეჯიბრებებს ცხენოსნობაში, ჩოგბურთში (მათში ალექსანდრე მეტრეველიც მონაწილეობს), გოლფში და, ბუნებრივია, ერყვევა სპორტში. გარდა ამისა, ბობი თავად მისდევდა კეტბურთს, ამერიკულ ფეხბურთს, ფრენბურთს, უნივერსიტეტში დადიოდა მეცადინეობებზე, სწავლობდა ბიზნესს, პოლიტიკასა და იურისპრუდენციას, ვარჯიშობდა, მერე კი საბუნდოდ მიდიოდა, იმითმ,

რომ თხუთმეტი წლიდან თვითონვე უნდა ერჩინა თავი. და ასე იყო 35 წლამდე — ერთბაშად ზომ არ ხდებოდა მეცნიერებათა დოქტორები და ბაკალავრები.
მაგრამ არსებობს სფერო, რომლის სპეციალისტებაც უნივერსიტეტში ან კეტბურთის მოედნებზე არ ამზადებენ. ეს ბავშვების სულებია. „ბავშვები გულით ლაპარაკობენ, — ამბობს ბობ შვიდტი და მან იცის, რასაც ამბობს. ერთხელ ბობი საქმიანი მივლინებიდან დაბრუნდა, შინ კი უცნობი პატარა გოგონა დაუხვდა. იგი მის ქალიშვილს მიეყვანა. გოგონას მამა მოკვდომილია, დედა კი საეკეთუბო მონვედრილიყო.


„შეიძლება ჩვენთან იტალიურს?“
პკიტხა ბობი მისი ქალიშვილი. „შეიძლება შეილება მასთან?“
„შეიძლება მამას, ხომ მართალია?“
ბობ შვიდტი, ამერიკელს, ბიზნესმენს ორმოცდაათი წლისას, ათი წლის მამას უნდა, რომ მისი კონტაქტები საქართველოსთან მუდმივი იყოს. იგი ვთავაზობს — დასაწყისისთვის — სპორტსმენების, მოცეკვავეებისა და სატელევიზიო პროგრამების გაცვლა-გამოცვლას. მას უნდა რაც შეიძლება ხშირად ჩამოვიდეს საქართველოში.
ჩვენც ხომ გვირდა ეს, ასე არ არის?
პავი გოგორიშვილი

ტრაგიკული დასასრული

ტრაგიკულად დაიღუპა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი ჭკუფიტიანი, შიხის ფახად ალ-ჰამადი. იგი დაეცა ერთ-ერთი კარისკაცთა მიერ გასროლილი ტყვიისაგან ჭკუფიტის სამეფო სასახლის დაცვის დროს.
45 წლის შიხი იყო ახლო აღმოსავლეთის ამ ქვეყნის ემირის ღვიძლი ძმა და დიდხანს თავკაცობდა ჭკუფიტის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს. ამავე დროს, ხელმძღვანელობდა აზიის ოლიმპიური საბჭოს საქმიანობას და ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობასაც ასრულებდა.

საქარაიშო ქულების გარეშე წმინდად გაიარა.

მედიცინა-ქიმიკალი



საქარაიშო ქულების გარეშე წმინდად გაიარა.

ტარიჩი (ბზრ). ევროპის ჩემპიონი ტარიჩიონი ვაჟთა შორის გახდა ბელგელო კარელ ბლონდელი. საშუალო დისტანციან (2,5 კილომეტრზე) ცურვა, 80 კმ ველობროლი და 20 კმ სირბილი) მან 4:02.25 აჩვენა. ქალთა შორის ოქროს მედალი მოიპოვა ფრანგმა იზაბელ მუტონმა — 4:29.04.

ბრატისლავა. აქ ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ცხენოსნობაში ეროვნებათა თასზე. პირველი ადგილი 4 საჯარო ქულით მექსიკის გუნდმა დაიკავა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ უნგრელი (8 ქული) და შვეიცარიელი (10,25 ქული) მებღრები.

„თავსახელადგული“ პირატები — ასე უწოდებენ იმთა, ვინც ატლანტის ოკეანეში იაღჭიანინ ნაგებობს მარტოდაპირ და ცურავენ. აქამდე სიცოცხლისთვის ამ სახიფათო მოგზაურობაში დაწინაურებული იყვნენ მამაკაცები და ბუნებრივია, მსოფლიო რეკორდებიც მათ ეკუთვნოდათ.
აშლახანს ცნობილი გახდა, რომ მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა

„მსოფლიოს სპორტულმა მოძრაობამ უძიმესი დანაკლისი განიცადა, — განაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა დირექტორმა ფრანსუაზა კარამმა, — იგი ყოველწლივ უწყობდა ხელს აზიის კონტინენტზე სპორტის განვითარების საქმეს, იყო აქტიური, პოპულარული და ყველასგან დაფასებული ადამიანი“.

ქალმა, 33 წლის ფრანგმა ფლორანს არტომს. მან მანძილი ნიუ-იორკიდან ინგლისის ნაიორბამდე 9 დღეში, 21 საათსა და 42 წუთში დაფარა. ძველი რეკორდიც ფრანგ ბრუნო პეირანუს ეკუთვნოდა და 11 დღეს, 11 საათსა და 47 წუთს უდრიდა.
არტომ ოკეანე გადასცურა იალქნიანი ნავით „პირე პრემიერიტ“, რომლის სიგრძეც 18 მეტრი და 28 სანტიმეტრია. საშუალოდ იგი საათში 20 კილომეტრს აწვითავებდა. რეკორდსმენმა, იუწყება აპს სააგენტოს კორესპონდენტმა, მარტომ დაფარა 4600 კილომეტრზე მეტი და უვნებლად მიიღწია ინგლისის ნაიორბამ.

„ბურ და ვრანის“ შემდეგ მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ ველობროლად „ჯირით დიტალია“ და „ტურ და სიუისია“ (შვეიცარიის ტური) მიჩნეულია. და, აი, 1991 წლიდან ორივე ეს რბოლა ერთდროულად ჩატარდება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ამ ქვეყნების ველოსპორტის ეროვნულმა კავშირებმა.
სხვათა შორის, იტალიის პროფესიული ველოსპორტი მდიდარია შეჯიბრებებით. ახალი სეზონი, როგორც წესი, 16 თებერვალს დაიწყება „სიცილიის კვირეულით“. 16 მარტიდან მსოფლიოს უძლიერესი მრბოლელები მილან-სან-რემოს ტურში იასპარეზებენ. 10-12 ივლისს მოეწყობა ე. წ. „რუოტა დ'ორი“, 19 ოქტომბრიდან კი სტარტს აიღებს ლომბარდიის რბოლა. ეს ის შეჯიბრებებია, რომლებშიც გამოვლენ საბჭოთა ველოსპორტისტები.

ლომა ჩოგბურთულმა და უიმბლდონის ჩემპიონმა წყვილებში. 36 წლის სპეციალისტი ადამრთოვანა ჩოგბურთელის ფანტასტიკურმა ფიზიკურმა მონაცემებმა. იგი სერიოზულად შეუდგა საქმეს და აღსაზრდელს, პირველ რიგში, პროფესიონალიზმის ჩვევა განუვითარა. როგორც ხედავთ, ტარაშის მეცადინეობას უქვეალოდ არ ჩაუვლია. გორანმა გიგანტური ნაბიჯებით იყუ სვლა საჩოგბურთო ოლიმპისაკენ.
შტუტგარტში გამარჯვების შემდეგ ივანიშვილი მცირე ხნით ეწვია თავის ქალაქს, მონაშულა მშობლებში, ნანატრ-მეგობრებში და ისევ „ტარაშის ცირკს“ დაუბრუნდა. ოსტრატის და შეგარდი ამ ეტაპზე „კუშმარისებურ მოწოდებებს“ ამუშავებენ. ეს იქნება ახალგაზრდა ჩოგბურთელის საიდუმლო იარაღი აშშ-ის დიდი ჩემპიონატზე. როგორც ხედავთ, 18 წლის ივანიშვილი აღარ ხუმრობს.

„სპორტარტანოზი“

გაერთიანება „სოიუსსპორტლოტომ“ შეჯამა „სპორტპროგრესის“ 1990 წლის 31-ე ტირაჟის შედეგები.
ტირაჟში დაშვებულია 2.200.762 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (396) მოგება 83 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (5900) — 11 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (47.345) — 4 მანეთი.
საქართველოში: დაშვებულია 96.750 ვარიანტი. 13—17, 12—195, 11—1619.

31-ე ტირაჟის მოგებები გაიცემს 1990 წლის 25 აგვისტოდან 25 სექტემბრის ჩათვლით.

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუსსპორტლოტომ“ შეჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 31-ე ტირაჟების შედეგები.
„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.207.678 ვარიანტი. 6 ნომრის გამოცნობისთვის (2) მოგება 9.057 მანეთია, ხუთისთვის (106)—341, ოთხისთვის (3974) — 13, სამისთვის (36166) — 3.
საქართველოში: დაშვებულია 29.265 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—69, 3—716.

„სპორტლოტო 5 88“-დან: ტირაჟში დაშვებულია 12.985.312 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (20) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (5358) — 129, სამისთვის (175675) — 6.
საქართველოში: დაშვებულია 329.070 ვარიანტი. 5—3 (სამივე — თბილისი), 4—105, 3—3.842.

31-ე და 22-31 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემს 1990 წლის 25 აგვისტოდან 25 სექტემბრის ჩათვლით.

გაიზარტა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 32-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 13 (სამოსათხილამურო სპორტი), 30 (ბალოსნობა), 39 (ბადმინტონი), 40 (რიკაობა), 44 (ჰარარკი).

„სპორტლოტო 5 88“-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 18 (მძლეოსნობა), 21 (ცურვა), 28 (ტყვიის სროლა), 35 (შაბიანი პოეზი).

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

საქართველოს სპორტსახეობის, სასტენდო სროლის რესპუბლიკური ფედერაცია და „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძობენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს თამაზ ივანიშვილს ღედის

ნიონი მიხეილის ასულ
გაჩეჩილაძის
გარდაცვალების გამო.

გორან ივანიშვირი არ ხუმრობს

18 წლის იუგოსლავიელმა ჩოგბურთელმა გორან ივანიშვიჩმა პირველ დიდ წარმატებას პროფესიულ სარბილზე შტუტგარტში მიიღწია, სადაც საკმაოდ პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი მოიგო. შეჯიბრების დამთავრებისთანავე ინტერვიუს მოყვარულმა ახალგაზრდამ ჟურნალისტებს გააცნო საჩოგბურთო ოლიმპზე ასვლის მისეული სამწლიანი გეგმა:
— წლის ბოლოსთვის უსათუოდ მოქვებდები მსოფლიოს უძლიერესთა ათეულში. გაისად დავიმკვიდრებ ადვილს ოთხეულში, 1992 წელს კი პირველი ვიქნები...
როგორც ეტყობა, იუგოსლავიელი ჩოგბურთელი უკვე შეუდგა ჩანაფიქრის განხორციელებას. შარ-

შან, დეკემბერში, იგი მსოფლიოს მეორე რიგში ჩოგბურთელი იყო. წლებულს ზაფხულისთვის კი უკვე მეცამეტე ადგილზე გადაინაცვლა. თუ ამ ტემპით გააგრძელა წინსვლა ივანიშვიჩმა, შესაძლოა მიზნის მისაღწევად სამი წელიც არ დასჭირდეს.
ერთ დროს ახალგაზრდა ჩოგბურთელს ნიკი პილიჩი ავარჯიშებდა. გამოცდილი მწვრთნელის განცხადებით, გორანს ფენომენალური მონაცემები აქვს და თუ რაიმეც არ შეუშალა ხელი, უსათუოდ გახდება მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი. პილიჩთან „მუშაობის“ პერიოდში ივანიშვიჩი გაურბობდა ხანგრძლივ წვრთნას და დიდ დატვირთვებს. ახლა კი პილიჩია მთლიანად შეიცვალა და დამწერი, გულმოდ-

გინე შეგარდი გახდა, რომელიც უსიტყვოდ ასრულებს მწვრთნელის ყოველ დავალებას.
პილიჩი, რომელიც ამჟამად გფრ-ის ნაკრების მთავარ დამრეგულად ითვლება, წარმოშობით სპლიტიდანაა. იქ დაიბადა ივანიშვიჩიც და იქვე ისწავლა ჩოგბურთის აზნანი. მამა ყოველმხრივ უწყობდა ხელს შვილის გატაცებას. მან საკუთარი ბინაც კი გაყიდა, რომ ეკონომიკურად გაემარჯობინა შურგი, მაგრამ სპორტული კარიერის დასაწყისში „გუნდურკინდი“ ზარმაცობდა და დროს უმთავრესად კარტის თამაშსა და კინოთეატრებში მსახიობის ანდომებდა.
1989 წელს გორანი საჯაროზოდ აიყვანა უნგრელმა მწვრთნელმა ბალაშ ტარაშმა, წარსულში ცნობი-

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ზამერაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებსთვის — 380000, თბილისი, მ. კობახიძის ქ. 14, დეპრემეზისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამაგისტრო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „მერანი“ — 93-97-28, „მარტვი“ — 93-97-27.

ჩვენი
06435
66435

საქართველოს კვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისა და სტალინის ორდენის მფლობელი, მ. კობახიძის ქ. 14, აბეძევა ოსტატური წესით ხაჯაშეთი კორპუსში: ხაჯაშეთის, 28.
ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20